ოლიმპიადაზე დასარეგისტრირებლად ეწვიეთ: https://kings.ge/register

## კინგსის ქართული ენის ოლიმპიადა 2020 / I ტური

**ძვირფასო მასწავლებელო,**

ეს კინგსის გასული სეზონის **საოლიმპიადე ამოცანებია,** რომლებიც შეგიძლიათ, გამოიყენოთ როგორც საკლასო აქტივობებისას, **ასევე გაუგზავნოთ თქვენს მოსწავლეებს.**

კინგსის ოლიმპიადის გაზაფხულის სეზონზე **რეგისტრაცია უკვე დაიწყო.** მოსწავლე **დასარეგისტრირებლად უნდა ეწვიოს ბმულს: www.kings.ge**

**რომელ საგნებში ტარდება ოლიმპიადა?**

კინგსის ოლიმპიადა წელს 6 საგანში ტარდება: მათემატიკა, ინგლისური, ქართული, ბუნება, ისტორია და ინტელექტი.

**რომელი კლასის მოსწავლეებს შეუძლიათ მონაწლეობის მიღება?**

კინგსის მათემატიკის, ქართულისა და ინგლისურის ოლიმპიადაზე 2-დან მე 12 კლასის მოსწავლეებს შეუძლიათ მონაწილეობის მიღება. ბუნების ოლიმპიადა მე-2, მე-3 და მე-4 კლასელებისათვის, ისტორიის ოლიმპიადა მე-5 კლასიდან ზემოთ, ხოლო ინტელექტის ოლიმპიადა მე-2 დან მე-6 კლასის ჩათვლით მოსწავლეებისთვის ტარდება.

**ოლიმპიადის შესახებ დეტალური ინფორმაცია ნახეთ:** https://kings.ge/news/1058

### მე-8 კლასი

**I სავარჯიშო: არსებით სახელთა ბრუნება,ზედსართავი სახელი და მისი ბრუნვები**
**შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ და გ**

1. ნათია ატმის ყვავილების გაშლას ელოდა.
   რომელ ბრუნვაშია სიტყვა ატმის?
   ა) სახელობითში ბ) მოქმედებითში გ) ნათესაობითში
2. რომელ ბრუნვაშია სიტყვა მარიამი?
   ა) ვითარებითში ბ) მოთხრობითში გ) სახელობითში
3. რომელია კუმშვადი სიტყვა?
   ა) მგელი ბ) ტოროლა გ) ქალბატონი
4. რომელია მოთხრობითი ბრუნვის არასწორი ფორმა?
   ა) დავითმა ბ) ელგუჯმა გ) მაკამ
5. რომელია კვეცადი არსებითი სახელი?
   ა) რკო ბ) არწივი გ) მზე
6. რომელია ხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელი?
   ა) მშვენიერი ბ) მაღალი გ) ცხრათვალა
7. რომელია ვითარებითი ზედსართავი სახელი?
   ა) დაბალი ბ) ღონიერი გ) ქუდიანი
8. რომელი სიტყვა პასუხობს კითხვაზე: სადაური?

ა) ტკბილი ბ) თბილისელი გ) წლევანდელი

9. რომელი არაა ხმოვანფუძიანი სიტყვა?
ა) პატარა ბ) წითელი გ) კუდრაჭა

10. რომელია ზედსართავი სახელის უფროობითი ფორმა?
ა) წითელი ბ) უწითლესი გ) მოწითალო

**II სავარჯიშო: ნაცვალსახელის ჯგუფები და ბრუნება**
**შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ და გ**

11. რომელია ჩვენებითი ნაცვალსახელები?
ა) ეს, ეგ, ის, იგი ბ) ჩემი, შენი, მისი გ) ვინ? რა? რომელი?

12. რომელ ბრუნვაშია პირის ნაცვალსახელი წინადადებაში?
„ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო“
ა) სახელობითში ბ) მოთხრობითში გ) მიცემითში

13. მიმართებითი ნაცვალსახელთა წყვილია“
ა) ვინმე, რამე ბ) ვიღაც, რაღაც გ) არავინ, ვერავინ

14. რომელი ჯგუფის ნაცვალსახელია <u>ჩემი</u> წინადადებაში?
„ მე ჩემი მომეცი, შენ შენი გქონდეს“
ა) კუთვნილებითი ბ) უარყოფითი გ) კითხვითი

15. რომელი ჯგუფის ნაცვალსახელია *არავინ* წინადადებაში:
„მადლობასაც არავინ გადაუხდის.“
ა) კუთვნილებითი ბ) უარყოფითი გ) კითხვთი

**III სავარჯიშო: ზმნა, ზმნის პირი და რიცხვი**
**შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ და გ**

16. რომელია პირველადი ზმნა?
ა) თეთრდება ბ) სახლდება გ) წერს

17. ჩასვით შესაბამისი ზმნა: „ამ ქალაქში მე დღეს .....“
ა) ჩამოვედით ბ) ჩამოვიდნენ გ) ჩამოვედი

18. რომელია მოქმედი პირი ზმნაში *ვყვირი ?*
ა) პირველი ბ) მეორე გ) მესამე

19. შეუწყვეთ პირები ზმნას *გაულიმა* !
ა) მან მას ის ბ) მან ის გ) მან მას

20. რამდენი ობიექტური პირია ზმნაში *გააკეთებინა*?
ა) ერთი ბ) ორი გ) სამი